დევიდ ლინჩი საქართველოშია - გავიცნობ თქვენს ქვეყანას, გაიმართება შეხვედრები და საჯარო ლექცია

22:50, 18.11.2017

მსოფლიო კინოს ლეგენდა დევიდ ლინჩი უკვე საქართველოშია. ამერიკელი რეჟისორი, სცენარისტი, მუსიკოსი და პროდიუსერი თბილისში პირადი თვითმფრინავით ჩამოფრინდა. ვიზიტი დაკავშირებულია დევიდ ლინჩის ფონდის კავკასიის განყოფილების საქმიანობასთან, რომელიც 2017 წლის 25 ივლისს თბილისში ჩამოყალიბდა და საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს აერთიანებს.

„გავიცნობ თქვენს ქვეყანას – პირველად ვიმყოფები საქართველოში, გაიმართება შეხვედრები და საჯარო ლექცია. აქ იმისთვის ვარ, რომ ჩვენი ფონდის სამომავლო მიზნებზე ვისაუბროთ კავკასიის რეგიონში. ეს არის ტრანსცენდენტული მედიტაციის გზით ადამიანებისათვის დახმარების აღმოჩენა, რათა მათი ტანჯვა დასრულდეს და თავი ბედნიერად იგრძნონ. სწორედ ეს არის ჩვენი ფონდის მთავარი მიზანი“, – განუცხადა ჟურნალისტებს დევიდ ლინჩმა.

პრესკონფერენციები, შეხვედრები, საჯარო ლექცია ტრანსცედენტული მედიტაციისა და საზოგადოებისთვის მისი სოციალური როლის შესახებ – დევიდ ლინჩის პირველი ვიზიტი საქართველოში დატვირთულია, პროგრამის ყოველი საათი ზუსტად გაწერილია. დაგეგმილია ლეგენდარული რეჟისორის საკულტო ფილმის „მალჰოლანდდრაივის“ ჩვენება და მაყურებელთან შეხვედრაც.

ავტორი: თათია ბუხრაშვილი

DAVID LYNCH IS IN GEORGIA – I'LL GET ACQUAINTED WITH YOUR COUNTRY, MEETINGS AND PUBLIC LECTURE WILL BE HELD

The world cinema legend David Lynch is already in Georgia. The American film director, scriptwriter, musician and producer arrived in Tbilisi with his private jet. The visit is related to the activity of the David Lynch Foundation Caucasus office, which was founded on the 25th of July of 2017 in Tbilisi and unites Georgia, Azerbaijan and Armenia.

"I'll get acquainted to your country – I'm for the first time in Georgia. Meetings and a public lecture will be held. I'm here for the purpose to speak about the future plans of our foundation in the Caucasus region. This is to help and support people by means of Transcendental Meditation, so that their grief is finished and they feel happy. This is the main goal of our foundation." – announced David Lynch to the journalists.

Press-conferences, meetings, public lecture about Transcendental Meditation and its social role for the population – David Lynch's first visit in Georgia is quite busy. Each hour of the program is scheduled. The screening of legendary film director's cult film "Mulholland Drive" and a meeting with the public will also be held.

Author: Tatia Bukhrashvili